F 26/1866

35

# ГРУЗИНСКІЙ ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

## 1866.

## МАЙ.

# საქართველოს

## სასულიერო მახარებელი.

მაისი.

ჩყჲვ ე.

ТИФЛИСЪ.

Въ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА и К°.

## ПОДПИСКА НА „ГРУЗИНСКІЙ "ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ"

### *на 1866-67 годъ.*

Журналъ „Грузинскій Дух. Вѣстникъ", издаваемый съ 1-го іюля 1864 г., будетъ издаваться по той же, утвержденной Св. Сѵнодомъ, программѣ и въ слѣдующемъ году. Мѣсячная книжка будетъ заключать въ себѣ отъ 4-хъ до 5-ти печатныхъ листовъ, вмѣстѣ съ „Русскими Прибавленіями"; а сіи послѣднія—не менѣе одного листа.

Цѣна остается прежняя: съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города 5 р. за 12 книжекъ, вмѣстѣ съ „Прибавленіями" на русск. яз.; безъ доставки же и пересылки 4 р.; „Прибавленія" (для особо подписывающихся) въ Закавказскомъ краѣ 1 р., а внѣ его—1 р. 50 к. с. По сей же цѣнѣ можно получать остающіеся въ маломъ числѣ экземпляры журнала за прошедшіе годы.

Редакція приметъ всѣ мѣры, чтобы сдѣлать свое изданіе интереснымъ и полезно-занимательнымъ для своихъ читателей. Въ „Прибавленіяхъ" къ журналу за означенный годъ предположено помѣщать, между прочимъ, слѣдующее сочиненіе редактора: „О судьбахъ наставниковъ и воспитанниковъ Тифлисской Дух. семинаріи, со времени основанія ея до 1868 года". Кромѣ другихъ обстоятельствъ, здѣсь будутъ показаны кратко ученые труды и важнѣйшія заслуги сихъ лицъ для церкви и отечества. Это сочиненіе будетъ интересно особенно для тѣхъ, коихъ оно имѣетъ предметомъ своимъ.

Вмѣстѣ съ симъ редакція покорнѣйше проситъ почтеннѣйшихъ оо. и гг., желающихъ возобновить подписку на журналъ, сдѣлать это заблаговременно, дабы дать возможность приблизительно опредѣлить, въ какомъ количествѣ печатать книжки.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской Духовной семинаріи, на имя редактора-издателя: профессора

*Свящ. Г. Хелидзе.*

# სიკუ̂დილისა-თჳს მართლისა.

განიზრახე, ჵ! კაცო, სიკუ̂დილისათჳს მართლისა და ცოდვილისა, და ჰსცან განსხუ̂ავებაჲ მათ შორის. პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუ̂დილი წმიდათა მისთა. (ა.) ხოლო სიკუ̂დილი ცოდვილთა ბოროტ-არს. (ბ.) მიზეზნი პატიოსნისა სიკუ̂დილისა წინაშე უფლისა არიან: პირუ̂ელად სასიერება ღუ̂თისა და წინა-განჩინება მისი; მეორედ უსასყიდლო ფასი ქრისტეს სისხლისა; და მესამედ სინანული და სარწმუნოება მოკუ̂დავისა. უკეთუ გინდოდეს პატიოსანი სიკუ̂დილი და იმედისა ქონებაჲ მისი, ისმინე მოძღუ̂რება მოციქულისა პეტრესი (გ): და ჰყავთ სარწმუნოებასა შინა თქუ̂ენსა სათნოება, და სათნოებასა შინა მეცნიერება, და მეცნიერებასა შინა მარხუ̂ა, მარხუ̂ასა შინა მოთმინება, მოთმინებასა შინა ღუ̂თის-მსახურება, ღუ̂თის-მსახურებასა შინა ძმათ-მოყუ̂არება, და ძმათ-მოყუ̂არებასა შინა სიყუ̂არული. რამეთუ ესე რაჲამს იყოს თქუ̂ენთანა და გარდაგემატოს არა უქმად, არცა უნაყოფოდ იპოვნეთ უფლისა ჩუ̂ენისა იესო ქრისტეს მეცნიერებასა. ამისთჳს ძმანო, უფროსღა ისწრაფეთ რათა კეთილთაგან საქმეთა მტკიცე-ჰყოთ

(ა.) ფსალმუნი რიე. მუხლი ვ.

(ბ.) ფსალმუნი ლგ, მუხლი კბ.

(გ.) პეტრ. თავი ა, მუხლი ე—ია.

ჩინებაჲ იგი თქუენი, და რჩეულებაჲ, რამეთუ ამას რა იქმოდეთ, არა სადა ჰსცდეთ ყოვლადვე. არამედ ესრეთ მდიდრად წარგემართოს თქუენ შესავალი იგი საუკუნოსა მას სასუფეველსა, უფლისა ჩუენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესსა. განიზრახე, მოკუდავო კაცო: კაცო რასაცა შინა მოგასწრებს შენ სიკუდილი, მასვე შინა წარსდგები წინაშე უფლისა, ვითარცა გვასწავებს მოციქული პავლე (ა). ვითარიცა გაქუს ცხოვრებაჲ, ეგრეთივე გექმნების სიკუდილი ;ვითარცა ჰსწერს სანატრელი ავგუსტინე: „არა ექმნების კაცსა მას სიკუდილი ბოროტი, რომელსაცა უცხოვრიეს კეთილად; და არცა საიმედო-არს, რათამცა კეთილად მოჰკუდეს იგი, ვისცა უცხოვრიეს ცუდად.", კეთილ-მსასურნი კაცნი ცხოვრებასა თჳსსა დაასრულებენ წინათვე წმიდათა საიდუმლოთა ზიარებითა, თანადასწრებითა მღუდლისა და მრავალთა მისთჳს ღუთისამიმართ მვედრებელთათა; ხშირად მოხდების ესეცა, რომელ ნუგეშის-საცემელად წმიდად ცხოვრებულთა, ჟამსა სიკუდილისასა მოავლენს ღმერთი ანგელოსთა და გუნდსა წმიდათასა, ვითარცა ჰსხნას ესე მიცუალებისაგან ღირსისა მაკარი მეგვიპტელისა (ბ.) ოდესცა მოიწია ჟამი სულისა განყოფისა ხორცთაგან წმიდისა მაკარისა, მაშინ სერუვიმი სიმრავლესა თანა ანგელოსთასა წარმოუდგა მაკარის და ეტყოდა: აღსდეგ, უფლისა მობაძაო, და ჩუენთანა წარმოვედ საუკუნოსა ცხოვრებასა; იხილე გარემოს შენსა, თუ რავდენნი წესნი ანგელოსთანი და წმიდათა გუნდნი წარმოგზავნილ-არიან ყოვლისა-მპყრობელისაგან, რათა მისსა მიმართ მიგიყუანონ შენ; იხილე, აჰა კრებული მოციქულთა, კრებული წინასწარ-მეტყუელთა, სიმრავლე მოწამეთა, გუნდი მღუდელმთავართა, ბანაკი მმარხულთა და ერთობა ღირსთა და მართა-

(ა.) რომაელთა თავი ბ, მუხლი იბ.

(ბ.) იანვრის ით-სა დღესა.

ლთა, ამისთჳს მომეცი მე სული შენი, რომლისაცა მცველობა მებრ-
ძანა მე ღჳთისაგან, ოდეს იყო იგი გჳამსა შინა, და მე მივიღებ
მას, განთავისუფლებულსა საკჳრჳჱლთაგან ხორცთათა, ვითარცა
დიდსა საუნჯესა, და განვლი რა ბანაკსა წინააღმდგომთასა, წარვა-
დგინებ წინაშე საყდრისა მეუფისა ღჳთისა, რათა იგი უკუნისამდე
ისარებდეს ყოველთა წმიდათა თანა. ოდესცა სერუვიმი ეტყოდა
ამას წმიდასა, სანატრელმან მაკარი ამბორს-უყო ყოველთა მისთანა
მყოფთა და ილოცა რა მათთჳს, ზე აღიხილნა თჳალნი და აღიპ-
ყრნა ხელნი თჳსნი ზეცად, და ჰსთქჳა უკანასკნელი სიტყჳაჲ:
ხელთა შენთა, უფალო, შევვედრებ სულსა ჩემსა, და განუტევა სუ-
ლი, ხოლო მრავალნი მოწაფენი მისნი ჰსტიროდნენ. პატიოსან-იყო
წინაშე უფლისა სიკჳდილი ღირსისა მაკარისა! ხოლო ოდეს წმიდა
სული მისი მიაქჳნდა სერუვიმსა ზეცად, ეშმაკნი ჰაერისანი, შორს
მდგომარენი, იტყოდნენ: ეჰა ვითარსა დიდებასა ღირს-იქმნა მაკა-
რი! ხოლო მაკარი ეტყოდა ეშმაკთა: არა, მე კჳალად მეშინის;
ვინაჲდგან ვიცი, ვითარმედ მე კეთილი არა რაჲ მიქმნიეს; მერმე
მტერნი იგი, რომელნიცა უმაღლესსა ჰაერსა ზერა იყჳნენ, ჰყვი-
როდეს: ჭეშმარიტად ჩჳჱნი არა არს მაკარი! გარნა წმიდა კჳალად-
ვე იტყოდა: არა,მე კჳალად მნებავს ლტოლჳაჲ თქჳჱნგან; და
ოდეს იყო მაკარი შინაგან ბჭეთა ზეცისათა, ეშმაკნი ტირილით
ჰყვიროდენ: განერა ჩჳჱნგან, განერა! ხოლო მაკარი ხმითა ახოვა-
ნითა მიუგებდა: ჰე განვერი თქჳჱნთა მანქანებათაგან, განძლიერე-
ბული ძალითა ქრისტეს ჩემისათა.

ვინც გინდა იყო ჵ? კაცო, რომელსაცა ღირსებასა და მდგო-
მარეობასა შინა იმყოფებოდე, შიშითა და მრწოლითა იქმოდე ცხო-
ვრებასა შენსა (ა,) ვითარცა იტყჳს მოციქული (ბ.) უკეთუ მარ-

---

(ა.) ფილიპპელ, თავი ბ, მუხლი იბ.

(ბ) ა პეტრე თავი დ, მუხლი იჱ.

თალი მნიად განერეს, უღთო იგი და ცოდვილი სადაღა იპოვოს? ამისთჳს წმიდა მაკარი და სხჳანი წმიდანი არა იყჳნენ დარწმუნებულნი სიწმიდესა ზედა თჳსთა კეთილთა საქმეთა, და ცხოვრებასა ზედაცა თჳსსა ვერას იკადრებდენ თქმასა, იქამდისინ, ვიდრე არა სრულიად განერებოდნენ ხელთაგან ეშმაკთასა, მიწევნილნი სასუფეველისა კართამდე.

---

## სიკჳდილისა-თჳს ცოდვილისა.

ჩუენ ვიხილეთ მაგალითი პატიოსნისა წინაშე უფლისა მართლისა სიკჳდილისა: ჰმთაინერგე გულსა შინა და გონებასა შენსა ესეცა, ვითარმედ მალე მოვალს ჟამი შენი, რომელსაცა შინა მოვიდეს საშინელი და სასტიკი სიკჳდილი, ვითარცა ლომი. მოვლენ ანგელოსნი და ეშმაკნიცა მოვლენ, მოშურნენი ჩუენისა ცხოვრებისა და მტერნი ჩუენნი, უკეთუ ცხოვრებაჲ შენი ყოფილ-არს ღჳთის-მოშიში, მაშინ ანგელოსნი წყნარად და მშვიდობით მიიღებენ სულსა; ხოლო უკეთუ ცხოვრება შენი იყო ბოროტი და შენისა აღთქმისა, ნათლისღებასა შინა დადებულისა წინააღმდეგი: მაშინ ანგელოსნი განეშორებიან შენ მწუხარენი, ხოლო ეშმაკნი ბეკეთებიან, ვითარცა ველურნი მხეცნი და უწყალოჲთა ტანჯვითა აღმოგხდიან სულსა. წმიდათა ცხოვრებათა შინა შესაძლებელ-არს პოვნაჲ მრავალთა მაგალითებთა ცოდვილთა სასტიკისა სიკჳდილისა; გარნა აქა სასარგებლოდ და ცოდვილთა მრწოლასა შინა მოსაყვანად, რათამცა მათ შეინანონ თავის დროზედა ცოდჳანი თჳსნი.

რავდენსამე მაგალითსა აღვსწერო მოკლედ, თუ ვითარ ცოდვილნი დატანჯულან ჟამსა სიკჳდილისასა, და თუ ვითარ მკჳდარსა სხეულსა ზედა მათსა ეშმაკთა განიუხარნიათ.

ერთ-გზის ღირსი ევთიმი (ა) ეტყოდა ძმათა თჳსთა, რომელ ერთსა ვისმე მოჰქონდა თავი თჳსი და იყო პატივცემულ კაცთაგან და შერაცხილ წმიდად კაცად: არამედ სულსა შინა თჳსსა განარისხებდა ღმერთსა, მარადის აქჳნდა გულსა შინა თჳსსა ბოროტნი გულის-სიტყჳანი. ერთმან შორს-მხედჳელმან მოხუცმა, მყოფმან ჟამსა სიკჳდილისა მისისასა, იხილა ეშმაკი, რომელსაცა ეპყრა ხელთა შინა ხამ-კაპიანი კვერთხი, ამით განუგმირა გული სნეულსა და აღმოსადა სული მისი დიდითა ტანჯვითა, და ისმოდა ხმა ზეცით: ,,რადგანაც არცა ერთსა დღესა არა განმისვენა სულმან მაგისმან, ამისთჳს შენცა ჰსტანჯე ეგე დაუსვენებლივ.‘‘ ესრეთ მოკჳდა უბადრუკად, ტყუილი წმიდა, ხოლო საიდუმლოდ ცოდვილი.

წმიდამან ანდრია ქრისტესთჳს სალოსმან (ბ) იხილა ანგელოსი უფლისა, რომელიცა მივიდა ერთისა ცოდვილისა მიმართ ცეცხლიანისა კვერთხისა ხელთა მპყრობელი, და ესმა ხმა ზეგარდამო: ჰგვემე საძაგელსა მაგას მაგინებელსა და არქჳა მესოდომურესა მაგას: კჳალადცა გნებავსა? ცოდვისა-ყოფაჲ და შებილწებაჲ სხჳსა და სხჳსათა გჳამთა, ანუ მრუშებლობით მიმავალი, რეცა თუ ცისკრისა ხმენად, მისჳალ ეშმაკისა მიმართ უსჯულოებისათჳს. ანგელოსი ჰსცემდა ცოდვილსა, და ამათ სიტყჳსათა ეტყოდა; ამგჳარსა ტანჯჳსასა შინა ცოდვილი იგი მოკჳდა.

ერთგზის წმიდამან ანდრია იხილა დაფლჳაჲ ცოდვილისა და

(ა). იანვრის კ დღესა.

(ბ). ოკდომბრის ბ-სა.

ვითარცა ეშმაკნი იცინოდენ და იმღერდენ მკჳდარსა ზედა, თამა-შობდენ, ჰყეფდენ ვითარცა ძაღლნი, აურიდნენ ერთსა ნაცარსა და ასხამდნენ მკჳდარსა აყროლებულსა წყალსა. შემდგომად წმიდამან ანდრია იხილა მცჳელი ანგელოსი მის მკჳდრისა და ჰკითხა: რომელთა ცოდჳათათჳს დაჰშთათ ეშმაკთა სული მიცჳალებულისა ამის? ანგელოსმან გამოუცხადა მას ყოველნი უსჯულონი საქმენი მისნი: მიცჳალებული იყო მრუში, მეძავი, სოდომურისა-მოქმედი, პიროფერობით მასიამოვნებელი, უწყალო, ვეცხლის-მოყჳარული, ცრუ, კაცთ-მოძულე, ძვირის-მსმენელი მოქრთამე, ფიცის-გარდამავალი; საბრალოთა მსახურთა თჳსთა ჰსტანჯვიდა შიმშილითა, გვემითა და სიტიტვლითა ზამთარსა შინა და მრავალნი მოჰკლნა, ვიდრე სამ-ას სულადმდე შეაბილწა მეძაურისა თჳსისა საქმითა; გარნა მოიწია ჟამი მკისა, და იგი მოკჳდა უნანელი; ამისთჳს სული მისი დაჰშთა ეშმაკსა.

იხილე, ჵ? მოკჳდაო კაცო, აღსასრული მართალთა და ცოდვილთა კაცთა. ეკრძალე, რათა არა შენცა იხილო ბოროტი სიკჳდილი, ანუ ანგელოსი უწყალო. მაშინ გვიან იქმნების შეწყალებისა თხოვნაჲ; ვინაჲთგან უფალი გეტყჳს (ა): წარვედით ჩემგან წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ-არს ეშმაკისათჳს და ანგელოსთა მისთათჳს. აწ ვიდრე ცოცხალ-ხარ მიმართე უფალსა და მიართვი მას სინანული წმიდითა გულითა, რათა ჰსცხონდე. ხოლო ოდეს შეუდგე სინანულსა, მაშინ დაუტევე ხორციელი ცხოვრებაჲ, და იქონიე მარადის თჳალთა წინაშე სიკჳდილი. ჰაზრი ესე არა ნებას-ჰსცემს გონებასა შენსა, რათა მოიქცე ამაოდ, არამედ დაამტკიცებს გულსა შენსა კეთილსა ცხოვრებასა შინა, ჩუენ სრულიად არა ვიცით, თუ რაჲსათჳს ვჰსცხოვრებთ; გარდავხდებით რა მცნებათა ღმრთისათა, ვიმედოვნებთ შესჳლასაცა სასუფეველსა

(ა). მატთე თავი ჴე, მუხლი მა.

შინა ცათასა: გარნა იხილეთ გონებისა თუალითა თქუენითა, წმიდანი, მოხარულნი სასუფეველსა შინა: თქუენ ვერავის იხილავთ მუნ უნანელად შესრულსა, რომელსამცა არა აქუნდეს კეთილნი საქმენი; მათ ყოველთავე განუსვლიათ გზასა ზმდა მწუხარებისასა, ვითარცა ჰსწამებს მათთჳს ზეციური ხმა (ა). „ესენი არიან, რომელნი მოსრულ-არიან ჭირისა მისგან დიდისა, და განურცხნიეს მათ სამოსელნი მათნი და განსპეტაკნეს სისხლითა მით კრავისათა. ამისთჳს არიან წინაშე საყდრისა ღუთისა, და მსახურებენ მას დღე და ღამე ტაძარსა შინა მისსა, და მჯდომარემან მან საყდართა ზედა დაიმკვიდროს მათ შორის. არღარა მოემშიოს მათ მერმე, არცა მოეწყუროს მერმე, არცაღა მოვიდეს მათ ზედა მზე, არცა ყოვლადვე სიცხე. რამეთუ კრავი იგი, რომელ არს შორის საყდრისა ჰმწყსის მათ დ̃ უძღვის წყაროთა მიმართ წყლისა ცხოვრებისათა, დ̃ აღხოცოს ღმერთმან ყოველი ცრემლი თუალთაგან მათთა. ჩუენ ვჰსცხოვრებთ სოფელსა ამას შინა, ეგრეთ, ვითარცა სტუმარი სასტუმროსა სახლსა შინა, დ̃ რაოდენსამე წელიწადსა ვიქნებით რა, დაუტევებთ ყოველსავე; ამისთჳს მოციქული გუამცნებს ჩუენ, რათა კეთილად ვჰსცხოვრებდეთ (ბ). გლოცავ თქუენ, ძმანო მოწყალებათათჳს ღუთისათა, რათა წარუდგინნეთ ჴორცნი ეგე თქუენნი, მსხუერპლად ცხოველად, წმიდად, სათნოდ ღუთისა მეტყუელი ეგე მსახურებაჲ თქუენი, დ̃ ნუ თანა ხატ-ექმნებით სოფელსა ამას, არამედ შეიცუალენით განახლებითა მით გონებისა თქუენისათა, რათა გამოიცადოთ თქუენ რა იგი არს ნება ღუთის კეთილი, სათნოჲ და სრული.“ თუნდა ყოველი სოფელი ჰსცოდვიდეს და ეწინააღმდეგებოდეს ნებასა ღუთისასა; გარნა შენ იქმოდე მას რაჲ-

---

(ა). გამოცხადება იოანესი თავი ზ, მუხლი იდ—იზ.

(ბ). რომაელთა თავი იბ, მუხლი ა, ბ და გ.

ცა სათნო არს ღუთის. იყავ სოფელსა შინა, ვითარცა ლოთ სოდომსა შინა, სადა იგი ყოველნი ჰსცოდვიდეს, გარნა იგი არა ჰბაძვიდა მათ, არამედ იქცეოდა ეგრეთ, ვითარცა ჰნებავს ღმერთსა.

მოიხსენე აღთქმა იგი, რომელი ჰქმენ ნათლისღებასა შინა: შენ სანაგდე სატანა და ყოველნი საქმენი მისნი; შენ შეერწყუე მას; შენ აღუთქვი და შეჰფიცე სარწმუნოებითა და სიმართლითა მონებად ქრისტესსა, სიმდაბლითა და სიყუარულითა შედგომად მისდა. არა მისდევენ მას, ვითარმედ სატანა არს მკულელი კაცისა, მრავალნი ქრისტიანენი აღასრულებენ ნებასა მისსა და შეუდგებიან მას ჯოჯოხეთად ვინცა პირობასა გაჰსტეხს, იგი ღმერთსა ატყუებს, უყუარს მას სიბნელე, ჯოჯოხეთი და ყოველნი სატანჯუელნი, ცოდვილთათჳს განმზადებულნი. ქრისტიანეთა თანა-აძსთ კუალსა ქრისტესსა შეუდგნენ და იტვირთონ ჯუარი მისი. იგი იტყვის: (ა). უკეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, მე შემომიდეგინ, და სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყო. ამისგამო ჩუენცა გალი-გვაქუს მივბაძოთ ქრისტეს ცხოვრებასა და მას უმზერდეთ ყოველსა ჟამსა. (ბ). სახე მიგეც თქუენ, რათა ვითარცა ესე მე გიყავ თქუენ ეგრეთვე თქუენცა ჰყოფდეთ. ჩუენ ამაოებასა შინა ვართ, არა ვჰბაძავთ ცხოვრებასა ქრისტესსა, გვიყუარს სოფელი და საცთურნი მისნი, გვიყუარს მომეტებულად ხორცი ჩუენი, და არა ქრისტე. ცხოვრება ქრისტესი გვასწავებს ჩუენ, რათა ხორცნი ჯუარს-ვაცუნეთ ვნებითურთ და გულის-თქმით და ვიტვირთოთ ჯუარი თჳსი, ვითარცა მან (გ). რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი, და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს. გვამცნებს ჩუენ მოციქულიცა:

(ა). იოანნე თავი იბ, მუხლი კვ.
(ბ). იოანნე თავი იგ, მუხლი იე.
(გ). მატთე თავი ი, მუხლი ლჱ.

,,ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცაღა რაჲ არს სოფლისა ამის, უკეთუ ვისმე უყუარდეს სოფელი ესე, არა არს სიყუარული მამისა მისთანა. რამეთუ ყოველივე სოფელსა შინა ესე არს: გულის-თქმა ხორცთა და გულის-თქმა თუალთა, და სილაღე ამის (სოფლისა) ცხოვრებისა, და ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგანი არს.,,(ა). და ესრეთ ღმერთი ითხოვს, რათა კაცმან აღხოცოს თავსა შორის თჳსსა ბოროტი გულის-თქმა ხორცთა, თუალთა და მსოფლიო ამპარტავანება. ჩუენი თავის-მოყუარება ჰსძლევს ჩუენ შორის მყო-ფსა კეთილსა ნებასა ღუთისასა, ხოლო სიტკბოება გემოვნებათა ატყუნებს სულსა ჩუენსა. უკეთუ გვინდეს, რათა არა გვიყვარდეს სოფელი, ჯერ-არს ვიყუნეთ ბრძენნი და გულითა ვეძიებდეთ პოვ-ნასა მის საუნჯისასა, რამეთუ სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი, ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მღილმან, არცა მჭამელმან განჴრყუნის, და სადა არცა მპარავთა დაჰსთხარიან და განიპარიან,, (ბ). არა ჯერ-არს ჩუენდა, ვითარცა წოდებულთა კეთილთა მიმართ ზეცისათა, მიე-ბად ქუეყნიერისა რისამე, და შედგომად ყამიერისა, თჳნიერ ხოლო საჭიროჲსა, არამედ თანამდებ-ვართ, რათა გვსუროდეს საუკუნო ცხოვრებაჲ. "რამეთუ სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი (გ). ვინცა სოფელსა ამას შინა ეძიებს ქუეყნიერთა საუნჯეთა, მას უყუარს სოფელი, და გზისაგან მართლისა შემცდარ-არს, და დაუვიწყებიეს რომელსა იტყვის მოციქული: ,,ხოლო ჩუენი მოქალაქობა ცათა შინა არს,, (დ). ვინაცა მაცხოვარსა მოველით

(ა). ა იოანნე თავი ბ, მუხლი იე ივ.

(ბ). მატთე თავი ვ, მუხლი კა.

(გ). მატთე თავი ვ, მუხლი კა.

(დ). ფილიპპელთა თავი გ, მუხლი კბ და კგ.

უფალსა იესო ქრისტესა: რომელმან გარდაჰსცუალნეს ხორცნი ესე სიმდაბლისა ჩუენისანი, რათა იყუნენ იგინი თანახატ ხორცთა მათ დიდებისა მისისათა, შეწევნისაებრ ძლიერებისა მისისა, და მორჩილებად მისა ყოველი,,. ზრახვასა-ჰყოფდე ზეციერისა მოქალაქობისათჳს, და დაივიწყებ ჟამიერსა-ცოდვიანსა; განიზრახე, თუ რაჲ აღგვითქუა უფალმან, განვიდოდა რა სოფლისა ამისგან ,,წარვალ და მოვიდე თქუენდა,, (ა), და აჰა მოვალ ადრე, და სასყიდელი ჩემი ჩემთანა, მიაგო საქმეთა მათთაებრ (ბ). იღვიძებდეთ უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისა მოვიდეს" (გ). ვითარცა უცნაური აღსასრული და სიკუდილი განგვიწესა ჩუენ უფალმან ქრისტემან, რათა მას მარადის მოველოდეთ; ეგრეთვე უცნაურადცა თჳსი მეორედ მოსვლაჲ სოფელსა შინა განაჩინა, რათა ყოველსა დღესა მოველოდეთ მას, და ვიყუნეთ ნიადაგ განმზადებულნი მიგებებად მისსა, და სმენად ხმისა მისისა: "მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისა,, (დ).

ვისწრაფოთ, გლახაკნო ცოდვილნო, ზეციერისა მამისა მიმართ, ვიდრე მიგველის ჩუენ, და ვიდრე კარნი სასუფევლისა მისისანი განხმულ-არიან! არამედ ვინცა მოკუდების ცოდვათა შინა, და დადგინებულ-იქმნების მარცხენით მისსა, იგი ისმენს მრისხანესა სიტყუასა მსაჯულისასა: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ-არს ეშმაკისათჳს და ანგელოზთა მისთათჳს. შეინიშნე და შეინანე, და საკჳლავიოთ ფრთხილ-იყავ, ცოდვილო,! რათა არა ჰშთავარდე ცეცხლსა მას საუკუნესა.

(ა). იოანნე თავი იდ, მუხლი გ.

(ბ). გამოცხადება იოანნესი თავი კბ, მუხლი იბ.

(გ). მატთე თავი კე, მუხლი იგ.

(დ). მატთე თავი კე, მუხლი: ლდ და მა.

ნეტარებასა მართალთასა და ტანჯუასა ცოდვილთასა, ჩუენ ცხადად ვიხილავთ წინა-მდებარეთა განზრახუათაგან; გარნა დასარწმუნებელად განვიხილოთ კუალად რაოდენნიმე სიტყუანი, გარდამოცემულნი წმიდათა მამათა მიერ, თუ ვითარ იტანჯების სული ცოდუათა-თჳს, და თუ ვითარსა შიშსა მოითმენს, მაშინ ოდესცა სული განეყოფის ხორცსა.

---

## სიტყუა.

### რომლისამე მხედარისა, სახელით ტაქსიოტესი, რომელი იგი მკუდრეთით აღსდგა (ა).

არა სადა დავსდუმნეთ მადლისათჳს ღუთისა, რომელმან გულის-ხმა-უყვის კაცთა ნათესავსა; ვინაჲდგან არა ცუდად თქმულ-არს: „არა მნებავს სიკუდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვრება მისი,, (ბ). აფრიკისა ქალაქსა შინა კართაღენს ჰსცხოვრებდა ერთი ვინმე, სახელი მისი ტაქსიოტე, მრავალთა ცოდუათა შინა მყოფი. შეეშინა რა სნეულებისა გამო განმრავლებულისა ქალაქსა შინა კართაღენს, შეინანა მან ცოდუანი თჳსნი და გარდასახლდა ქალაქით თჳსითა ცოლითა სოფლად, სადა იგი განატარა ცხოვრებაჲ თჳსი მყუდროებით. გარნა მარადის კაცთა ცხოვნებისა მოშურნემან ეშმაკმან შეაცთუნა იგი სიძვითა თჳსისა მიწის-მოქმედისა

---

(ა. სვინაქსარი მარტის კზ-სა.

(ბ. იეზეკიილ თავი ლგ, მუხლი ია.

ცოლისათანა, რომელიცა მასვე სოფელსა შინა ჰსცხოვრებდა. რავდენისამე დღისა შემდგომად სიძვისა, იგი გარდაიცვალა გველისა ნაკბენობითა. სოფლისა იმის ახლოს იყო მონასტერი, ხოლო ცოლი მისი ევედრა მონოზონთა, რათა მათ დაჰფლან ქმარი მისი ეკკლესიასა შინა მისს მონასტრისასა; ამისთჳს ბერთა მათ წარიღეს მკვდარი იგი და დაასაფლავეს შემდგომად შუა-ღამისა მეცხრესა ჟამსა. გარნა მესამესა ჟამსა შემდგომად შუა-დღისა მონოზონთა მიესმათ ხმა ტირილისა და კვნესისა საფლავით გამო: შემიწყალეთ მე, შემიწყალეთ. მასვე ჟამსა ბერნი მივიდნენ საფლავად და აღმოსთხარეს საფლავი, და განუკვირდათ, იხილეს რა კაცი იგი მტირალი და მგოდებელი, და რადგანაც ჰსურდათ ცნობაჲ, თუ რაჲ შეემთხვია კაცსა მას, ამისთჳს ჰკითხვიდენ მიზეზსა მისისა ტირილისასა: გარნა იგი ვერა რას მიუგებდა მათ დაუცხრომელისა გოდებისაგამო და ჰსთხოვა ბერთა, რათა წარიყვანონ იგი ტარასი ეპისკოპოსისა მიმართ. ეპისკოპოსმან სამთა დღეთა შინა ვერა ათქმევინა მას, თუ რაჲ შეემთხვა მას და რაჲ იხილა მუნ. მეოთხესა ოდენ დღესა ძლივ-სადმე მოცოცხლდა რა და მოეცა ძალი, ცრემლით ესრეთ იტყოდა განცოცხლებული კაცი: მამანო და ძმანო! როდესაც მე მოვჰკვდებოდი, მაშინ ვიხილე რომელნიმე შავნი კაცნი, წინაშე ჩემსა მდგომარენი; სახე მათი ესოდენ საშინელ-იყო, რომელ სული ჩემი ძრწოდა. ვიხილე ორნი შვენიერნიცა ჭაბუკნი; ხელთა შინა ჭაბუკთა ამათ მივიდა სული ჩემი. მერმე წარვედით ჩვენ ფრინვითა ქვეყანით ზეცად ჰაერსა ზედა, და მუნ შეგვემთხვივნენ ფერად-ფერადნი განსაკითხავნი ადგილნი, სადაცა დაიპყრობენ სულსა ყოვლისა კაცისასა; თითოეულსა განსაკითხავსა ადგილსა შინა განმიკითხეს მე და მომკითხეს ცოდვათა ჩემთა ანგარიში; ერთგან სიცრუისა, მეორესა ადგილსა შურისა და სხვასა ადგილსა ამპარტავანებისათჳს, ყოვლისა ცოდვისათჳს არს საკუთარი

განსაკითხავი ადგილი და თჳსნი განმკითხველნი-მტანჯუელნი. ერთსა მცირესა შინა კიდობანსა, რომელიცა მიჰქონდათ ანგელოსთა, მე ვიხილე კეთილნი საქმენი ჩემნი, რომელთაცა ანგელოსნი შეუწონ-დნენ ბოროტთა საქმეთა ჩემთა. და ესრეთ, განვვლეთ რა რაოდე-ნნიმე განსაკითხავნი ჩუენ მივეახლენით ბჭეთა ზეცისათა; გარნა სამეძაოსა ზედა განსაკითხავსა ბოროტთა მცუელთა შემაყენეს მე და მიჩუენნეს მე ყოველნი ხორციელნი ცოდუანი ჩემნი, რომელნი მექ-მნა მე აქამომდე ორისა წლისა ჰასაკიდამ. მაშინ ანგელოსთა მათ, რომელნიცა მამდევდეს მე, მითხრეს. ყოველნი ხორციელნი ცოდვა-ნი, რომელნი გიქმნიეს ქალაქსა შინა, ჰსცხოვრებდი რა მუნ, ღმერ-თმან მოგიტევა შენ; ამისთჳს რომელ შენ იგინი შეინანე. ხოლო ცხოვნებისა ჩემისა წინააღმდეგთა მითხრეს: შენ, გამოხვედი რა ქალაქით და დაჰსხდეგ სოფელსა შინა, მაშინ ისიძვიდი შენ ცოლი-სათანა შენისა მიწის-მოქმედისა. ესე რა ესმა ანგელოსთა, და ვე-რა ჰპოვეს რა, ვერცა ერთი კეთილი საქმეჲ, რომელიმცა შეეწონათ ცოდვისა ამისათჳს, დამიტევეს მე და განმეშორნეს. მაშინ ეშმაკნი უწყალოდ მცემდეს მე და ჰშთამამიყუანეს მე ქუემოთ; მიწა განი-პო და შორის იწროთა და მყრალთა დანასხეთქთა მე ჰშთავედი კნინღა ქუესკნელსად ჯოჯოხეთისა საპყრობილედმდე, სადაცა შეპყ-რობილ-არიან სულნი ცოდვილთანი საუკუნესა შინა ქუეყანისა ქვე-შეთსა სიბნელესა, სადა იგი არა არს ცხოვრებაჲ, არამედ საუკუნო სატანჯუელი, ტირილი უნუგეშინისცემო და ღრჭენა კბილთა გამო-უთქმელნი. აქა ისმის მხოლოდ სამარადისო გოდებაჲ: ვაჲ ჩუე-ნდა! ვაჲ! შეუძლებელ-არს გამოსატყუა ტკივილთა მათ და უბადრუ-კებათა, რომელნიცა მე ვიხილე მუნ-ჯოჯოხეთსა შინა: ჰკუნესიან გულითა და არა ვინ არს შემწყალებელი მათი; ჰსტირიან, და არა ვინ არს მათი ნუგეშინის-მცემელი; ევედრებიან, და არა ვინ ისმენს მათსა და არა ვინ არს მხსნელ მათდა. მათ თანა მეცა შეპყრობილ

ვიყავ იწროთა ამათ და ბნელთა ადგილთა შინა, და დავჰშთი მუნ მეცხრე ჟამითგან მესამე ჟამადმდე სადილისა შემდეგ ვჰსიტროდი და ვჰგჳნესოდი. მაშინ ვიხილე მცირედი ნათელი და ორნი ანგელოსნი, მოსრულნი მუნ, მე ვევედრე მათ მოუშორებლივ, რათა განმიყვანონ ჯოჯოხეთიდამ, და მე შევინანო ცოდვანი. მათ მითხრეს მე: უჟამოთ გვევედრები შენ; აქედამ ვერავინ განვალს ყოველთა აღდგომადმდე. გარნა ვინათგან მე ვევედრებოდი ფრიად გულსმოდგინედ და აღუთქვი სინანული; მაშინ ერთმან ანგელოსმან უთხრა მეორესა: თავსმდებად უდგები ამას, რომელ შეინანებს ესე, ვითარცა აღგვითქჳამს ყოვლითა გულითა? მეორემან ანგელოსმან უპასუხა: ვეთავსმდებები. მეცა ვიხილე, ვითარ თავსმდებმან ჩემმან მისცა ხელი მეორესა ანგელოსსა. მაშინ მათ აღმიყვანეს და გამომიყვანეს მე იქიდამ ქჳეყანასა ზედა და მიმიყვანეს სათვლავად გჳამისა ჩემისა მიმართ, და მითხრეს: შევედ გჳამსავე შინა, საიდამაც გამოხჳედ. ვიხილე რა სულისა ჩემისა ბუნებაჲ, ვითარ ელჳარე მარგარიტი, ხოლო გჳამი ჩემი, ვითარცა წუმპე, შავი და მყრალი, მე შემძაგდა შესჳლაჲ გჳამსა შინა ჩემსა. ანგელოსთა მითხრეს მე: შეუძლებელ-არს შენდა სხჳებრ შენანებაჲ, ვითარ გჳამსა შინა, რომლისათანა ჰსცოდე შენ; არა მისცდეს ვედრებათა ჩემთა, რათა არღარა შევსულ-ვიყავი გჳამსავე ჩემსა, არამედ გარდაწყვეტილი მითხრეს: შევედ! ხოლო უკეთუ არა შესჳალ, ჩჳენ იქვე წარგიყჳანოთ, საიდამაც გამოგიყჳანეთ. მაშინვე მე შევედი გჳამსა შინა და ვიწყე ხმა-მაღლად ყვირილი: შემიწყალეთ მე! ესმა რა ესე, მღჳდელმთავარსა ტარასის, ჰრქჳა მას: იგემე საჭმელი; გარნა ტაქსიოტეს არა უნდოდა ჭამაჲ პურისა, არამედ ერთის ეკლესიით მეორესა ეკლესიასა შინა გარდავიდოდა, ქჳე-დაეცემოდა და ტირილითა და გვნესითა აღუარებდა ღმერთსა და სასმენელად ყოველთა იტყოდა: ვაჲ მათ, რომელნიცა ჰსცოდჳენ; რა-

მეთუ საუკუნო სატანჯუელი მიელის მათ! ვაჲ უნანელთა ვიდრე-მდის აქუსთ ჟამი სინანულისა! ვაჲ მათ, რომელნი შეაბილწებენ გუამსა თჳსსა! ტაქსიოტემან იცხოვრა შემდგომად აღდგომისა თჳსისა ორმეოცი დღე, და განიწმიდა რა თავი თჳსი სინანულითა, უწინარეს სამისა დღისა ჴსცნა სიკუდილი თჳსი, განვიდა აქაურისა ცხოვრებისაგან ყოვლად-მოწყალისა და კაცთ-მოყუარისა ღუთისა მიმართ, რომელმან ჴშთაიყუანის ჯოჯოხეთად და აღმოიყუანის, და ყოველთა მისცის მაცხოვარებაჲ.

სარწმუნოთა მამათა, რომელთა იხილეს ესე, მოგვითხრეს ჩუენ ჴამბავი ესე ჩუენისა ცხოვრებისათჳს.

აზნ. ა. გარსევანოვი.

---

## მოძღურება ამაღლებასაზედა ქრისტესსა.

---

“და იყო კურთხევასა მას იესოსსა მათდა მიმართ, განეშორა მათგან და აღვიდოდა ზეცად„ (ლუკ. თავი კდ მუხ. ნა).

უფალი ჩუენი იესო ქრისტე მეორმოცესა დღესა შემდგომად აღდგომისა თჳსისა ამაღლდა ზეცად. განმავლობასა შინა ამა ორმე-ოცდღედისა მყოფობისა თჳსისა ქუეყანასა ზედა იგი არა ერთგზის განეცხადებოდა მოციქულთა, ასწავებდა მათ სასუფეველისათჳს ღუთისა (საქ. მოც. ა. გ.), განუხსნა გონებანი მათნი გულის-ხმის-ყოფად წიგნთა (ლუკ. კდ, მე), და ესრეთითა

სახითა განამზადებდა მათ წარსვლად ყოველსა სოფელსა საქადაგებლად სახარებისა. განეშორებოდა რა მათგან, იესო ქრისტემ მისცა მათ ნუგეშინის-ცემითი აღთქმა გარდამოვლინებად მათზედა ყოვლად წმიდისა სულისა, რომლისა მოლოდებაში უბრძანაცა მათ არა განშორება იერუსალიმით. შემდგომ თჳთ ამაღლების დღესა განიყუანნა მოციქულნი ქალაქისაგან ვიდრე ზეთის-ხილის მთამდე; აქა აკურთხნა იგინი, და ამა კურთხევის დროსა განეშორა მათგან და აღვიდოდა ზეცად. მოციქულთა თაყვანის-ჰსცეს თჳსსა მოძღუარსა და უფალსა, და ნუგეშინის ცემულნი აღთქმითა სულისა წმიდისათა, მოიქცენ იერუსალიმად სიხარულითა დიდითა, და იყოფოდეს ტაძარსა მას შინა, მარადის აქებდეს და აკურთხევდეს ღმერთსა;(ლუკ. მთ-ნგ). ესრეთ ჯერ იყო შესვლად ქრისტესსა დიდებასა თჳსსა (ლუკ. კდ, კვ). ხოლო ვითარი ზნეობათი სწავლა გამოდის აქედგან ძმანო! აქედგან ჩუენ ვისწავებთ, რომელ ცა დახშული ცოდვითა კაცისათა კვალად განეღო კაცსა და კვალად იქმნა მისაწთომელ მისთჳს. გულისხმა-ჰყვესა ესე პირველთა მოწაფეთა ქრისტესთა? გულისხმა-ჰყვეს; იგინი, ვითარცა იტყვის მახარებელი, შემდგომ მაცხოვარის ამაღლებისა, მოიქცეს იერუსალიმად სიხარულითა დიდითა და იყოფოდეს ტაძარსა მას შინა, მარადის აქებდეს ღმერთსა. (ნგ.), და ყოველსა ცხოვრებასა შინა თჳსსა ქუეყანასა ზედა დაუცხრომელად ყოველთა თჳსთა აზრთა, სურვილთა და მოქმედებათა მიმართვიდენ ცად მიმართ, ვითარცა ჭეშმარიტისა საცხოვრებელისა მიმართ თჳსისა, და ჰქადაგებდენ რომელ ჩუენი მოქალაქობა ცათა შინა არს. (ფილ. გ. კბ.). არ მიმხედველნი ამისა, მრავალნი ჩუენგანნი, ყოველითა გულითა და გონებითა თჳსითა მიდრეკილ არიან ქუეყნიერთა სიამოვნებათადმი და სრულებით არა ფიქრობენ ცისათჳს, ვითარცა ჭეშმარიტისა საცხოვრებელისა თჳსისა; ხოლო სხუანი, თუმცა განიზრახუენცა

მისთჳს, გარნა შიშობენ დადგომად გზასა ზედა იწროსა, აღმყვანებელსა ზეცად, შთებიან ფართოსა გზასა ზედა სოფლისასა. გარნა, ძმანო, ქუეყნიერნი კეთილნი და სიამოვნებანი არა ღირან ჩუენ სიყვარულად, ხოლო გზა აღმყვანებელი ზეცად უადვილეს არს ვიდრე გზა ამის სოფლისა. მიდრეკილება სოფლისადმი და ქუეყნიერთა სიამოვნებათადმი არს ნაყოფი უგუნურებისა. სცთებიან მხოლოდ გარეგანითა ხილვითა, გარნა არა განსჭურეტენ არსებასა ნივთისასა: ხოლო თჳთ არსებასა შინა თჳსსა სოფელი და მისნი სიამოვნებანი არა ღირან ჩუენ მიდრეკილებად და სიყვარულად არცა ქრისტიანობრივისა, არცა ჩვეულებრივის კაცობრივისა გულისხმის-ყოფისამებრ მათთჳს. რაჲ არს ქუეყანა ქრისტიანობრივისა გულისხმის-ყოფისამებრ მისთჳს? ჵი ძმანო, ესე არა არს ქუეყანა იგი კურთხეული, რომელსა ზედა პირველ შექმნულს კაცსა უნდა ეცხოვრნა ნეტარებით და განშვენებულ იყო უკუდავებით; ესე არს ქუეყანა, რომელსაზედა ჭირნი და სიკუდილი შეემთხვივნეს ცოდვილს კაცსა, რომელსა ზედა სინანულითა, გარნა გვიან, ჰცნა, რომელ განშორებასა შინა ცხოვრებისაგან ღუთისა მხოლოდ სიკუდილი არს სვედრი მისი. ხმა მსჯავრისა, წარმოთქმული პირველის ცოდვილის კაცისადმი, ვითარცა ხმა საქუეყნოჲს ქუხილისა ისმა ყოველსა სივრცევლესა შინა დროთასა, და აწცა ისმის ქუეყანასა ზედა: „რამეთუ რომელსა დღესა სჭამოთ მისგან სიკუდილითა მოჰკუდეთ,, (შექ. ბ, იზ.) და სწყლავს მათ, რომელნი მიილტვიან სოფლისადი ყოვლითა გულითა თჳსითა. და ესრეთ ღირსა სოფელი ჩუენ სიყვარულად თჳსთა მოკუდავთა კეთილთა მიერ? მეორე ქრისტიანობრივი გულისხმის-ყოფა სოფლისათჳს არს იგი, რომელ სული მისი წინააღმდეგი არს ღუთისა; ვინადგან იგი ან ერთის და ან მეორეს გზით აშორებს კაცსა ღუთისაგან, კაცსა, რომელიცა ეკუთვნის ღმერთსა, ვითარცა საქმე ხელთა ღუ-

თისათა, და ვითარცა მოსყიდული ყოვლად-წმიდითა სისხლითა კრავისა უბიწოჲსა — ყოვლად-წმიდის ქრისტესისათა. ვითარ უკვე შეგვიძლიან ჩუ̂ენ ღალატობა ღუ̂თისა, ჩუ̂ენის კეთილის მყოფელისა და მიდგომა სოფლისადმი?

ამა გულის-ხმის-ყოფათამებრ იესო ქრისტე ითხოვს ჩუ̂ენგან ესრეთსა სოფლის უარის ყოფასა, რათა ჩუ̂ენ ვიყუ̂ნეთ ვითარცა სასიკუ̂დინენი (ბ კორ. დ, თ.) და მოვისწრაფიდეთ უფლისა თანა ჩუ̂ენის იერმესა მას ცხოვრებასა არა სხუ̂ა გზით, არამედ ვითარცა ესრეთნი კაცნი, რომელთათჳს ქუ̂ეყანასაზედა არა რაჲ არს. ესე ჩაავონა უფალმან ჩუ̂ენმან თჳსთა შედგომილთა, ოდესცა ჰრქუ̂ა მათ: რომელმან არა აღიღოს ჯუ̂არი თჳისი, და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს (მატ. ი, ლჱ).

კეთილნი სოფლისანი, რომელნიცა არა ღირს არიან ჩუ̂ენის მიდრეკილებისა და სიყუარულისა ქრისტიანობრივისა მათთჳს გულის-ხმის ყოფილებანი არა ღირან მად ჩვეულებრივისამებრცა კაცობრივისა გულის-ხმის-ყოფისა; რამეთუ ვინ არა უწყის, თუ ვითარ დაუდგრომელ არიან იგინი და მომატყუ̂ებელ? ვინ არა ხედავს, რომელ სოფელი ესე წარხდების და გულის-თქმა მისი (ა იოან. ბ, იზ). გარნა არიან კაცნი, რომელთა თუმცა სცნეს ამაოება ქუ̂ეყნიერთა კეთილთა, გარნა არა ჰბედავენ მიებად კეთილთა ზეცისათა, და წარმოიდგენენ გზასა მათდამი თითქმის განუვლელად; მაშინ როდესაც იგი არს უადვილეს ვიდრე გზა ამა სოფლისა. გზასა ზედა სოფლისასა, მოსაპოვებელად კეთილთა მისთა, ხშირად საჭირო არიან საკუთარნი ნიჭნი, არა იშვიათად მოიხმარებიან სიცბილნი, სიცრუენი, ხშირად გვაბრკოლებს შური და სიბოროტე თანა მოადგილეთა, მაშინ როდესაც მოპოებისათჳს ზეციერთა კეთილთა უსაჭიროეს არს სიწრფელე გულისა და სიწმიდე განზრახუ̂ასათა. იქა კაც-

მა უნდა იმოქმედო თჳსითა ძალითა; ხოლო აქა ღმერთი არს რომელი შეიქმს ჩჳჱნდა ნებასაცა და შეწევნასა სათნოებისათჳს (ფილიპ. ბ, იგ.); და აქა კაცმან მხოლოდ უნდა დაუმორჩილოს ძალნი თჳსნი ძალთა ღჳთისათა.

ნუ გიყჳარან უკჳჱ, ძმანო, სოფელი ესე ნუცადა რაჲ არს სოფლისა ამის, უწყოდეთ, რამეთუ რომელსა უყვარდეს სოფელი ესე, არა არს სიყვარული ღჳთისა მისთანა (ა. იოან. ბ, იე), თჳნიერ რომლისა არ შეიძლება ცხოვნებად. ნუ შეაპყრობთ გულთა თქჳჱნთა ქჳჱყანასა, უწყოდეთ, რამეთუ ჩჳჱნი მოქალაქობა ცათა შინა არს (ფილ. გ, კბ), და ცად მიმართ, ვითარცა ჭეშმარიტის თჳსის მამულისა, მიმართეთ ყოველნი თჳსნი ჭაზრნი, სურვილნი და მოქმედებანი. ამინ.

მღ. გრიგ. დამბაროვი.

---

## სიტყჳა

## აღმოყჳანებასა ზედა ნაწილთა წმიდათა შორის მამისა ჩჳჱნისა ნიკოლაოზ საკვირველ-მოქმედისა (*).

,,ვადიდებ შენ დიდო მღჳდელთ-მთავარო ნიკოლაოზ,
,,და ვადიდებთ წმიდასა ხსენებასა შენსა, რამეთუ შენ
,,ხარ მეოხი ჩჳჱნი წინაშე ქრისტე ღჳთისა ჩჳჱნისა.‘‘

ყოველნი ქრისტიანენი, დღესასწაულთა კეთილად აღმასრულე-

(*) თქმული ქ. ტფილისს თ. ორბელიანების სასახლის ეკკლესიაში, 9-სა მაისსა 1866 წ.

ბელნი ვალ-დებულ არიან, რათა განიმეორებდენ გონებასა შინა თჳსსა ძალსა და მიზეზსა დღესასწაულთასა. ამისთჳს ვითხოვ თქუენგან მსმენელნო, რათა მოაქციოთ ყურად-ღება თქუენი სამოძღურებელსა მოთხრობასა ზედა. მიზეზი დღევანდელისა ჩუენ-მიერ დიდებისა წმიდისა ნიკოლაოზისა არის აღმო-ყუანება პატიოსანთა ნაწილთა მისთა მირონ ქალაქით ბარავ ქალაქად. შემდგომ გარდაცვალებისა მისისა პატიოსანი გუამი მისი დასხმულ იქმნა მირონ ქალაქსა შინა ლუკიისასა, სადაცა აღასრულა მან ქუეყნიერი მოღუაწება სარწმუნოებისა და კეთილ-მსახურებისა. ხოლო მეფობასა ალექსი კომნინისასა 1087-სა წელსა 9 მაისსა შემდგომ 744-ის წლის გარდაცვალებისა მისისაგან გარდატანილ იქმნა ბარავ ქალაქსა შინა, რომელიცა ვიდრე მეთორმეტე საუკუნის ნახევრადმდე შეადგენდა ნაწილსა საბერძნეთისასა და იყო მმართე-ბლობასა ქუეშე ბერძენთ ეკკლესიისასა. ოდეს ურწმუნოთა მაჰმა-დიასთა დაიპყრეს ქალაქი ლიკია და უმეტეს აღმოსავლეთის მხარე საბერძნეთისა და დასწვეს და დაარღვიეს ცეცხლითა და მახვილითა ყოველნი ქალაქნი და სოფლები ეკკლესიებით და მონასტრებითურთ: მაშინ წმიდა ნიკოლაოზი გამოეცხადა ჩუენებით ერთსა კეთილ-მსა-ხურსა მღუდელსა ბარავ ქალაქისასა და აცნო, რათა გარდაიტანონ ნაწილნი მისნი მიროთ ქალაქით ბარავ ქალაქად. საკვირველი გამოცხადება ესე მღუდელმან აცნო სამღუდელოთა და მოქალაქეთა მის ქალაქისათა. მსწრაფლადვე შეკრბენ ყოველნი სამღუდელონი და ერნი და შესწირეს მადლობა ღმერთსა მინიჭებისათჳს ესე-ვითარი-სა შუამდგომელისა და დიდის დიდებითა და პატივითა გარდაიტა-ნეს საკვირველთ-მოქმედნი ნაწილნი ბარავსა შინა. აი მიზეზი, რომლისათჳსცა დღეს შეკრებულ ვართ ტაძარსა შინა სადიდებელად საკვირველთ-მოქმედის ნიკოლაოზისა.

ხოლო აწ ჩუენცა ქრისტიანენი თანამდებ ვართ, რათა ვადი-

დებდეთ და ვნატრიდეთ ყოველსა შინა ჩჳენსა მსწრაფლ შემწესა და მხურვალესა შუა-მდგომელსა. გარნა განვიხილოთ თავნი ჩჳენნი მსმენელნო! ვნატრით და ვადიდებთ მღჳდელთ-მთავარსა წმიდასა ნიკოლაოზს ვითარცა ჯერ არს? კაცი ნატრის და ადიდებს სხჳსსა მაშინ, ოდესცა კეთილ-მოქმედებითი ცხოვრება მისი ექმნება მაგა-ლითად თჳსსა ცხოვრებასა შინა და კანონნი მისნი ლამპრად წინა-მძღჳანელად. ესრეთ, ჩჳენცა აღმასრულებელთა დღევანდელისა დღესასწაულისათა არს რომლითამე სხჳთა ძალ-გვიძს რათა ვნატ-რიდეთ და ვადიდებდეთ წმიდასა ნიკოლაოზს, გარნა მხოლოდ მიბაძვითა სათნოებათა მისთათა. ვინაჲდგან სხჳათა სათნოებათა შორის იყო მისთანა უპირველესი და საფუძველი სათნოებათა მშვი-დობის-მყოფელობა, ამისთჳს განვმარტოთ მშვიდობის-მყოფელო-ბა თუ ვინ არიან მშვიდობის-მყოფელნი ანუ რა შეხვდებათ მათ: მშვიდობის-მყოფელნი არიან იგინი, რომელნიცა არავის ავნებენ, არავის შეურაცხ-ჰყოფენ, არავის შეავიწროებენ და ყოველთადმი აქჳ-სთ სიყჳარული და თავმდაბლობითი პატივისცემა, და ყოველთა თანა ჰყოფენ მშვიდობასა; მათ იციან, რომელ ღმერთი მშვიდობისა და სიყჳარულისა მშვიდობის მყოფელთა თანა დაემკვიდრების საჳ-კუნოდ; ამისთჳს არათუ არავის აღაშფოთებენ იგინი, არამედ მათ-ცა, რომელნიცა არიან აღშფოთებასა შინა, მოიყჳანენ მყუდროე-ბასა და განსვენებასა შინა, ანუ სიტყჳსაებრ წმიდის მოციქულისა პეტრესა არავის მიაგებენ ბოროტისა წილ ბოროტსა არცა გინებისა წილ გინებასა, არამედ წინა-აღმდგო-მთა აკურთხევენ (ა პეტ. 3. 9).

ესე-ვითარი მშვიდობის-მყოფელობა შეადგენს ნეტარებასა კაცი-სასა, მიანიჭებს განსვენებასა და განამდიდრებს საკმაოდ ყოვლითა კეთილობითა. თჳთ იესო ქრისტემან მიმავალმან ვნებისა და ჯჳარცმისადმი დაუტევა მოწაფეთა თჳსთა მშვიდობა, მეტყუელმან:

მშვიდობასა ჩემსა დაგიტევებ თქუენ (იოან. 14, 27); ეგრეთვე შემდგომ აღდგომისაცა პირუელად სხუა არა რაჲ აღირჩია განსადევნელად შიშისა მათისა, რომელნიცა აქუნდათ ურიათაგან, გარნა მშვიდობისა მინიჭებად მეტყველმან: მშვიდობა თქუენთანა (იოან. 14, 27). აქედგან ჩანს, რომელ ჭეშმარიტებით მშვიდობის მოყუარენი არიან ნეტარნი, ვითარცა ჰსთქუა იესო ქრისტემან: ნეტარ იყუნენ მშვიდობის მყოფელნი (იოან. 20, 19), ვინადგან იგინი შეიქმნებიან მემკვიდრედ ცისა და მპყრობელად სასუფეველისა; რამეთუ აღსრულებისათჳს მშვიდობისა ძედ ღუთისად იწოდებიან: ნეტარ იყუნენ მშვიდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღუთისად იწოდნენ.

აჰა ქრისტიანენო, ვითარი დიდება, პატივი და ნეტარება აქუს ყოველსა მშვიდობის მოყუარესა! იგინი იქმნებიან და იწოდებიან ძედ ღუთისად. ხოლო რაჲ შეხვდების მათ, რომელნიცა განეშორებიან მშვიდობასა? იგინი დაჰკარგვენ უსასყიდლოსა საუნჯესა მას ნეტარებასა; რამეთუ რომელნიცა შეუდგებიან ბილწთა გულის-თქმათა თჳსთა, მათ სრულებით არ ექმნებათ მშვიდობა, ვინადგან მათ შორის დაიბადებიან მწუხარებანი, შფოთნი, ბრძოლანი და ლალჳანი, ვითარცა ამტკიცებს ამას მოციქული იაკობ: ვინა არიან ბრძოლანი და ლალჳანი თქუენ შორის, ანუ არა მიერვე გულის-თქმათაგან თქუენთა, რომელნი განსწყობილ არიან ასოთა შინა თქუენთა (იაკობ. 4, 1)? რამეთუ გულის-თქმათაგან დაიბადების თავის-მოყუარეობა, პატივის-მოყვარეობა და ამპარტავანება, რომელნიცა არიან სათავუძველნი უთანხმობათა შფოთთა და მკულელობათანი; ეგრეთვე მათგანვე იშობებიან მრისხანებანი და გულის-წყრომანი, რომელნიცა შესცვლიან კაცსა ესრეთ, რომელ იგი ვერღარა შეიძლებს მოთმინებასა სხვის შეცოდებათა და არცა მიითვალავს

ვედრებითსა თხოვნასა და ჭეშმარიტსა სინანულსა; ვინაჲთგან იგი აღვსებული მრისხანებითა აღიჭურვის მტერობისა-თჳს თჳთ კეთი-ლის-მყოფელთადმიცა. ესე-ვითარი კაცი შეიძლებსა იწოდებოდეს ძედ ღ̂თისად, რომელიმცა შეურაცხ-ჰყოფს სანატრელსა მას მშვიდობა-სა? არა-ოდეს; არამედ მხოლოდ მშვიდობის-მყოფელნი იწოდებიან ძედ ღ̂თისად.

და ესრეთ, მსმენელნო! ყოვლითა გულს-მოდგინებითა და მოსწრაფებითა მოვიძიოთ და დავიც̂ათ საუნჯეთა შინა სულისა ჩ̂ნისათა უძვირფასესი ნიჭი ესე ღ̂თისა, და გ̂აქ̂ნდეს მარა-დის მშვიდობა ღ̂თისა დამორჩილებითა ნებისა მისისადმი, ესრე-თითა მოძიებითა წოდებულ-ვიქმნებით ძედ ღ̂თისად, და უფალიცა ჩ̂ნი იესო ქრისტე არა უღირს იჩენს ვედრებასა და თხოვასა ჩ̂ნსა.

ხოლო შენ, წმიდაო დიდო მღ̂დელთ-მთავარო ნიკოლაოზ, ურიცხვთა ნიშებთა და სასწაულებთა მოქმედო, დაგვიცვენ და დაგვი-ფარენ ჩ̂ნ ყოვლისა ჭირისა და განსაცდელისაგან. ამინ.

მღ. ბესარიონ ზედგინიძე.

## ქადაგება

## დღესა სულის წმიდის მოსულისასა. (*)

დღეს წმიდა ეკკლესია დღესასწაულობს მოსულასა სულისა წმიდისასა. ორმეოცდა-მეათესა დღესა აღდგომითგან. მაცხოვარმან ჩუენმან მოუვლინა მოციქულთა თჳსთა ნუგეშინის-მცემელი სული წმიდა, ჟამსა მესამესა დილისასა, და იმავე დროსა მოციქულნი აღივსნენ სულითა წმიდითა და იტყოდნენ სხუათა და სხუათა ენათა, რომელი არა იდეს ესწავლათ მათ.-შემდგომად საკვირველად გამოჩინებისა სულისა წმიდისა ქუეყანასა ზედა, დაემკვიდრა მადლი მისი ყოველთა ქრისტეს მორწმუნეთა შორის, და არს მათ შინა თუმცა ზოგჯერ უხილავად, გარნა ნამდვილად.

ეგრეთვე ჩუენცა ყოველთა საიდუმლოსა შინა მირონისცხებისასა მივიღეთ იგივე სული წმიდა, რომელიცა მიიღეს მოციქულთა; იგივე სული არს ყოველთჳს ჩუენ შორის, და გარდამოავლენს მრჩობლსა მადლსა დღესა ამას მოსულისა თჳსისა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს შემდგომი. მოციქულნი მომლოდნენი სულისა წმიდისასა, იყუნენ მარადის ტაძარსა მას შინა, აქებდეს და აკურთხევდეს

---

(*) თქმული დროსა აოსრებისასა მკალიისაგან სიღნაღის უეზდის ყანებისა და მინდვრებისა, 23 მაისს 1865 წ. ს. მირზაანს.

ღმერთსა. ჩუენცა ქრისტიანენი მოვალენი ვართ მოვიქცეთ მოციქულთა მსგავსად, მივიდეთ ტაძრად უფლისა და გულით წმიდით ვევედრნეთ მას სახიერსა, რათა მოგვიტევნეს ცოდუანი ჩუენნი და გუყოს სადგურ სულისა წმიდისა. თუმცა ღმერთი ყოველგან არს და ყოველგან ისმენს ვედრებასა ჩუენსა, მაგრამ ეკკლესია არს საკუთარი სახლი მისი, რომლისაგან მორწმუნენი ქრისტიანენი მიიღებენ მადლსა სულისა წმიდისასა. მადლი ესე არს და იქმნების განუშორებელ ჩუენგან, უკეთუ არა განვდევნით მას ცოდვითა ჩუენითა. ხოლო ოდეს განვარისხებთ მას და განვდევნით ცოდვითა, მაშინ მართლ-მსაჯული ღმერთი მოგვივლენს ჩუენ სასჯელსაცა საქმეთა ჩუენთაებრ, როგორათაც აწ ვხედავთ მკალსა, თაგვთა, სვლიკთა და სხუათა მავნებელთა, რომელნი აღაოხრებენ ჩუენსა ყანებს და მინდვრებსა. ჩუენ დავივიწყეთ ღმერთი და წმიდა სარწმუნოება, და ამისთჳს მოგვევლინა სასჯელი ესე. უკეთუ განვეშორებით ცოდუათა და მივეახლებით ღმერთსა,იგიცა მოგვეახლება ჩუენ და ისმენს ვედრებასა და ლოცუასა ჩუენსა, რამეთუ ვითარცა წერილ-არს, ცოდვილისა არა ისმინის ღმერთმან, არამედ რომელიცა არს მოშიში უფლისა, მისი ისმინის. ჩუენ განგვიწესა ღმერთმან დღენი სადიდებელად მისა და კეთილის-საქმედ. სჯულსა წერილ-არს: ექუს დღე იქმოდე და ჰქმენ მას შინა ყოველივე საქმე შენი, საჭირო ხორციელისა ცხოვრებისათჳს; ხოლო დღე იგი მეშვიდე არს უფლისა შენისა. ესე იგი — ეს დღე შესწირე ღმერთსა, მას დღესა შინა შეავედრე სული და ხორცი ღმერთსა, ჰმადლობდე მას თუ რაჲმე კეთილი ჰქმენ ექუს დღესა შინა, ხოლო თუ ბოროტი — მოინანე და ევედრე ღმერთსა მოტევებისათჳს; ევედრე ღმერთსა, რათამცა მომავალს სამუშაკო დღეებში შეგეწეოდეს იგი, რამეთუ თჳნიერ მისა არა რაჲმე შეგიძლიან. და ესრეთ, მართლ-მადიდებელნო მსმენელნო! დღესა ამას სულის წმიდის მოხსენებისასა შევევედროთ მაცხოვარსა ჩუენსა იესო ქრისტესა

წმიდითა გულითა, რათა განაქარვოს ჩუჱნგან მოწევნილი ჩუჱნ ზედა რისხჳა სამართლად ჩუჱნთა ცოდვათათჳს; და ვეცადნეთ რათამცა მარადის გვაქუნდეს ნაყოფი სულისა წმინდისანი: სიყუა-რული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხჳა, მოთმინება. და ესრეთ რა ჰმოქმედებდეთ, ღმერთიც ჩუჱნ კერძო იქმნება, და ისმენს ლოცჳასა მოსავთა მისთასა. ამინ.

მღ. სიმონ ბ ე ნ ა ე ვ ი.

---

## ჰსწავლა.

წინეთ დაფიცებისა დეპუტატთა აღმორჩეულთა სამენგრელოს სამფლობელოჲსა საზოგადოებისაგან განსარჩეველად თავადთა და აზნაურთ ღირსებისა, თქმული იზ-სა აპრილს ჩყჲვ-სა წელსა ყოვ-ლად-სამღუდელოს ეპისკოპოსის ტ ა რ ა ს ი ს ა გ ა ნ.

## კეთილ-მსახურნო ქრისტიანენო!

ორნი არიან მიზეზნი დღევანდელისა ჩუჱნის შეკრებულება-სა წმიდასა ტაძარსა ამას შინა ღჳთისასა. პირუჱლი ის, ვითარმედ დღეს წმიდა ეკკლესია ვრცელის რუსეთის იმპერიისა დღესასწაუ-ლობს შობასა მისის იმპერატორებითის დიდებულებისა ყოვლად-მოწყალისა ხელმწიფისა ჩუჱნისა, იმპერატორისა ალექსანდრე ნიკო-ლაოზის ძისა, და დიდისა მთავრისა, მისის იმპერატორებითის

უმაღლესობისა ნიკოლაოზ მიხაილის ძისასა, და მუხლ-მოდრეკით აღავლენს წინაშე ღუთისა მხურვალეთა ლოცუათა, რათამცა მეოხებითა ღირსისა მამისა ჩუენისა სიმეონ სპარსისათა მიანიჭოს მისსა იმპერატორებითსა უდიდებულესობასა და სამეფოსა სახლსა მისსა მშვიდობა, სიმრთელე და მრავალი წელი; ხოლო მეორე ის, ვითარმედ განსაკუთრებით სამეგრელოს სამთავრობელო ერთად სამურზაყანოთი და სვანეთითა ჰხედავს მაღალსა მზრუნველობასა ყოვლად-მოწყალის ერთ-მთავრისასა, რომელიცა დღესა შობისა თჳსისასა განამტკიცებს აღმორჩეულობასა მათსა განსარჩეველად ღირსებისა კეთილ-შობილთა წევრთა ამა სამთავრობელოჲსათა და განხსნის მოქმედებასა აღრჩეულთა პირთასა უმახლობელესსა წინამძღუანველობასა ქუეშე ყოვლად-კეთილისა და გონიერისა განმგებლისა ჩუენისა. მე ვითარცა ერთ-მემამულე და ჭეშმარიტი მწყემსი თქუენ პირმეტყუელთა სამწყსოთა ჩემთა აწ თქუენდამი მოვაქცევ სიტყუასა, კეთილმსახურნო დეპუტატნო! და გამცნებთ, რომელ წინასწარ გახსნისა თქუენის მოქმედებისა ჯერ-არს თქუენდა მიღება ფიცისა წინაშე სიტყჳსა ღუთისა, ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა მისისა და სასწაულთ-აღმომაცენებელთა ხატთა, რათამცა შიშით და მრწოლით მისცეთ აღთქმა უმაღლესსა არსებასა და ცხებულსა მისსა სიმართლით მოქმედებისა-თჳს თქუენისა.-

გახსოვდესთ და ნუ დაივიწყებთ ვითარმედ თქუენ მოწოდებულ ხართ დიდისა საქმისადმი, იგულისხმეთ სიმძიმე და უაღრესობა მონდობილისა თქუენზედ საქმისა. თქუენზედ დამოკიდებულ-არს აღმოცნობა ღირსებისა და შემდგომი ხვედრი თავად—აზნაურთა სამეგრელოჲსათა, ერთგულად აღასრულეთ უმაღლესი ნება ხელმწიფისა და მთავრისა ჩუენისა სასარგებლოდ და წარსამატებელად მამულისა ჩუენისა, განსაჯეთ და განარჩიეთ ყოველი საქმე სიმართლით და პირუთნებელად, გქონდესთ მარადის სახეში საშინელი

ფიცი, რომელსაცა თქჳენ დღეს აღასრულებთ, რათამცა არცა ნათესაობამ, არცა მეგობრობამ, არცა მტერობამ, არცა ქრთამის-მოყჳარეობამ და არცა სხჳათა წინააღმდეგთა მიზეზთა არ გაიძულოსთ თქჳენ დაფარვად სიმართლისა,—არამედ მიაგებდეთ კაცად-კაცადსა ჯეროვანსა და დაიცვიდეთ მოვალეობასა თქჳენსა მიუხედველად პირთა, შესახებელად პატივისა და ღირსებისადმი მათისა. ამას ითხოვს ჩჳენგან მოციქული ქრისტესი ნეტარი პავლე, მეტყჳელი: მისცემდით უკჳე ყოველთა თანა-ნადებსა, სახარკოსა ხარკი, საზჳერესა ზჳერი, საშინელსა შიში, პატივსა პატივი. ნურა რაჲმცა ვისი-თანა-გაძს, გარნა ერთიერთარს სიყჳარული, რამეთუ რომელსა უყჳარდეს მოყჳასი თჳსი მან ჰსჯული აღასრულა, და ესრეთითა მოქმედებითა თქჳენითა სრულ-ჰყავით სარბიელი თქჳენის დაწყებადისა მოქმედებისა, რათამცა ურცხვენელად ჰსთქჳას თჳთოეულმან თქჳენგანმან მოციქულისა თანა წარმართთასა: ღვაწლი კეთილი მომიღჳაწებიეს, სრბა აღმისრულებიეს, სარწმუნოება დამიმარხავს. ამიერითგან მიმელის მე სიმართლისა იგი გვირგვინი, რომელიცა მომცეს მე უფალმან მას დღესა შინა, მართალმან მან მსაჯულმან რომელმან საუკუნოდ შეიყჳარა სიმართლე და მოიძულა უსჯულოება.—

და ესრეთ მადლი უფლისა ჩჳენისა იესო ქრისტესი,—კურთხევა ღჳთისა მამისა და ზიარება სულისა წმიდისა მოუწყვეტელად გიძღოდეს თქჳენ ახალსა სარბიელსა ზედა თქჳენისა დანიშნულებისასა და დაადგრეს თქჳენთანა უკუნისამდე. ამინ.

## განზრახუა

## ხსენებასა ზედა დიდისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისასა (*).

რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამა თჳსი და დედა თჳსი და ცოლი და შვილი და ძმანი და დანი და მერმე კუალად სულიცა თჳსი ვერ-ხელეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა.

ესე არიან სიტყუანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი, რომელიცა თჳთ არს სიყუარული და ჩუენცა გვიბრძანებს სიყუარულსა: იყუარებოდეთ ურთიერთარს, რათა ერთობითცა ადიარებდეთ; და კუალად შეიყუარო მოყუასი შენი ვითარცა თავი თჳსი: და სხუასა ალაგსა იტყვის; რომელსა არა უყუარდეს ძმა თჳსი, იგი სიკუდილსა ზედა დადგრომილ არს და მტერად აღუდგების ღმერთსა. (1) ეგრეთვე მანვე ყოვლისა-შემძლებელმან ღმერთმან უბრძანა ერსა მას ისრაილისასა პირითა სათნოჲსა თჳსისა მოსესითა, მთასა მას სინასა: პატივ-

---

(1) მათე. 22, 38.

(*) ხსენება წმ. დავით გარესჯელისა აღესრულების ხუთშაბათს შემდგომად ამაღლებისა.

ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქუეყანასა ზედა: და თჳნიერ ყოველთა ამათ, ყოვლადსახიერი ღმერთი ბრძანებს, რათა გვიყუარდნენ მტერნიცა და ულოცავდეთ მათ.

ვითარცა ბრძანებს იგი, ქრისტიანენო! სიტყუათა მათ; რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამა თჳსი და დედა თჳსი და ცოლი და შვილი და ძმანი და დანი და მერმე კუალად სულიცა თჳსი ვერ-ხელეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა: ანუ ვითარ ჯერ-არს გულისხმის-ყოფა ამათ ორთა მათ განყოფილთა საგანთა? არა . . . , სიყუარული და სიძულილი არიან ორნი განთჳსებულნი გრძნობანი; თუმცა თუალ სახილველად სრულიად არიან უადგილონი და ერთი მეორისა წინააღმდეგი: არამედ ნუ მოვლენ ამისათჳს ზრახუანი გარეშენი გონებათა შინა თქუენთა, საყუარელნო; რეცა თუ იესო ქრისტე გუამცნებს მტერობასა და სიძულვარესა იმა პირთადმი, რომელთათანაცა ჩუენ თჳთ ბუნებისა კავშირითა შეთჳსებულ ვართ მტკიცედ; ნუ იფიქრებთ, ვითომც იგი ითხოვს ჩუენგან მოძულებასა მათსა, რომელთადმიცა ჩუენ ვართ მინდობილ გულითა, და ნუ იყოფინ ჩუენდა, რათა წინააღმდეგად ვიტყოდეთ ამათ ორთა განსხუავებულთა წინა დადებათა, ვინაჲთგან ჩუენ უწყით წერილთაგან, რომელ სიყუარულსა ღუთისასა და მოყუსისასა ყოველნი წინასწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან. (2)

მაშა რაღასა ჰნიშნავს მცნება, რომლითაცა ებრძანების მას ვისაცა სურს შედგომა იესო ქრისტესადმი, რათა მოიძულოს მამა თჳსი და დედა თჳსი და ცოლი და შვილი და ძმანი და დანი და მერმე კუალად სულიცა თჳსი? ნიშნავს, რომელ ერთსულობით და

(2) მათე 22. 39.

